

**სამთო გამყოლი 112059
პროფესიული სტანდარტი**

I. სფეროს აღწერა

სამთო გამყოლი მიმართულებათაშორისი დარგებისა ან სპეციალობების მიმართულების ტურიზმის დარგის კვალიფიკაციაა. პროფესია არის მომსახურებაზე ორიენტირებული და გულისხმობს სამთო ტურებით დაინტერესებული მომხმარებლისათვის მაღალი ხარისხის სერვისის შეთავაზებას.

სამთო გამყოლი ეწევა საექსკურსიო მომსახურებას საქართველოს მთიანი რეგიონის მასშტაბით; საქართველოს სამთო და რეკრეაციული ზონებისა და ტურისტებისათვის საინტერესოდ მიჩნეულ სხვა ობიექტებში.

სამთო გამყოლი უზრუნველყოფს ტურისტული ჯგუფისთვის დაგეგმილი მომსახურების ხარისხის კონტროლს. არის პასუხისმგებელი, თავისი საქმიანობისას: დაიცვას სავალდებულო უსაფრთხოების ზომები, გაითვალისწინოს უსაფრთხოების ასპექტები, მოამზადოს სამთო ტური მაღალ პროფესიონალურ დონეზე, აიღოს პასუხისმგებლობა დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე.

სამთო გამყოლის პროფესიული კვალიფიკაცია ითვალისწინებს უნარებს ისეთ დისციპლინებში, როგორებიცაა: მთამსვლელობა, კლდეზე ცოცვა, სამთო თხილამურები, სამთო-სამაშველო სამუშაოები და სხვა.

II. დასაქმების სფერო

სამთო გამყოლი შესაძლოა მუშაობდეს როგორც კერძო პირი, ინდივიდიალური ან ჯგუფური დაკვეთის შესაბამისად გაფორმებული სამუშაო ხელშეკრულების მიხედვით.

III. დამატებითი მოთხოვნები

სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სამთო სპორტის სახეობებში პროფესიული უნარები, პრაქტიკა და გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სამთო გამყოლის პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი (V საფეხური), რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით.

სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 50% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

V. სამთო გამყოლის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

სამთო გამყოლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

| | | |
|-------------------------------------|---|--|
| <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> | <p>აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).</p> | <ul style="list-style-type: none"> • აქვს კვალიფიციური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სამთო სპორტის სახეობების შესახებ; • იცის და გაცნობიერებული აქვს სათავგადასავლო ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი პროცესები, პრინციპები და კონცეფციები; • იცნობს განსხვავებული უნარების მქონე მომხმარებლის მომსახურების სპეციფიკას; • იცის საქართველოს ისტორია, კულტურისა და ეთნოლოგიის საკითხები; • კარგად იცნობს ახალი ტურის მომზადების პრინციპებს; • აქვს გეოლოგიის და გეოგრაფიის საბაზისო ცოდნა; იცის ქედები და მთათა სისტემები; კლიმატური ზონები (საბაზისო ცოდნა); მწვერვალების სიმაღლეები, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების სახელწოდებები; • იცნობს საქართველოს სათხილამურო და სამთო რეკრეაციულ ზონებს; • ერკვევა საქართველოს ბიომრავალფეროვნებაში; • იცის უცხო ენა (მინიმუმ B2 დონე). <p>ტექნიკა/მეთოდიკა</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის ძირითად სამთო რელიეფებზე გადაადგილების მეთოდიკის პრინციპები; • ერკვევა კლდეზე, თოვლსა და ყინულზე მოძრაობის ძირითად ტექნიკებში და აქვს მათი სწორად და თანმიმდევრულად გადაცემის უნარი; • იცის სამთო ტურის პროცესის სწორ, თანმიმდევრულ საფეხურებად დაყოფა და ტურების დაგეგმვის ტექნიკა-მეთოდიკა, რუკაზე მარშრუტების დაგეგმვა; • აფასებს გარემოს და მეტეოროლოგიური პირობების ზემოქმედებას ტურის მიმდინარეობაზე. <p>ტურის ლიდერობა</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს ლიდერის თვისებები და იცის ჯგუფის მართვა; • ფლობს სამთო ტურებისთვის საჭირო ლიდერობის ტექნიკის პრინციპებს; • ფლობს გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიებს. <p>უსაფრთხოება</p> <ul style="list-style-type: none"> • იცნობს და პროფესიულ დონეზე ფლობს ძირითად სამთო რელიეფებზე დაცვის ორგანიზების პრინციპებსა და ფორმებს, აფასებს ობიექტურ და სუბიექტურ |
|-------------------------------------|---|--|

| | | |
|---|---|---|
| | | <p>პოტენციურ საფრთხეებს, იცის ჯგუფთან მუშაობისას უსაფრთხოების ზომების დაცვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • აფასებს გარემოს სამთო საშიშროებების ასპექტების გათვალისწინებით; იცის სამთო რელიეფების ფიზიკური თვისებები, შეუძლია მათი და მეტეოროლოგიური პირობების განვითარება/ცვლილების მიხედვით შესაბამისი ზომების მიღება; • ცნობს საქართველოში არსებულ საფრთხეებს (ცხოველები, ქვეწარმავლები, სტიქია, კრიმინალური სიტუაცია, ტრანსპორტის მოძრაობა, ეპიდემია, ალერგიული მცენარეულობა ან საკვები); • იცის პირველადი დახმარების აღმოჩენა და ტრავმის პრევენციის ძირითადი მეთოდები. |
| <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> | <p>შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p> | <ul style="list-style-type: none"> • განახორციელებს ტურს გეგმის შესაბამისად; • მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე, შეუძლია გზის შერჩევა; • ეფექტურად იყენებს ძირითად სამთო რელიეფებზე გადაადგილების ტექნიკა-მეთოდებს, ჩვენების მეთოდურ ხერხებს; • ანალიზებს სამთო რელიეფებზე გადაადგილების ტექნიკას და აქვს შეცდომების დანახვისა და მათი შესწორების უნარი. • ახერხებს პრაქტიკულ ორიენტირებას გარემოში და ორიენტირებისთვის საჭირო საშუალებების გამოყენებას. • სწორად იყენებს ორიენტირების მეთოდებს ტურების დროს; • ექსტრემალურ სიტუაციაში, მიუხედავად ჯგუფის შესაძლო ზეწოლისა, იღებს სწორ გადაწყვეტილებებს; • ხედავს მარშრუტის სხვადასხვა ვარიანტს, აფასებს საშიშროებებს და ამის მიხედვით არჩევს მარშრუტის უსაფრთხო ვარიანტს; • ორგანიზაციას უწევს სამთო მარშრუტებზე ჯგუფის უსაფრთხო ასვლასა და დაშვებას; • შესაბამის მარშრუტებზე, დროისა და თავისებურებების გათვალისწინებით, შეუძლია კვების ორგანიზება; • ახდენს კარვებში ღამისთვის ორგანიზებას და იცავს ღამისთვის უსაფრთხოების წესებს; • პასუხისმგებლობის ფარგლებში ითვალისწინებს ტურისტთა მოთხოვნებს; • სამთო რელიეფზე მაღალ პროფესიულ დონეზე ახორციელებს გადაადგილების დაზღვევას; • ახერხებს სამთო-სამაშველო ოპერაციის ორგანიზებას; • შეუძლია სამაშველო სამუშაოების განხორციელება; • სამაშველო ოპერაციების ტექნოლოგიების გამოყენებით კვალიფიციურად ახდენს დაზარალებულის მობილიზაციას, პირველად სამედიცინო დახმარებას და მის უსაფრთხოდ ტრანსპორტირებას ისეთ რელიეფამდე, საიდანაც დაზარალებულის ევაკუაცია მოხდება ვერტმფრენის ან სხვა საშუალებით; |

| | | |
|---------------------------|--|---|
| | | <ul style="list-style-type: none"> • აქვს უნარი, სათანადოდ შეაფასოს ბუნებრივი პირობები, ჯგუფის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას; • კონკრეტულ მარშრუტებზე ინფორმაციის სიმცირის დროს იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. |
| დასკვნის უნარი | <p>შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p> | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სახიფათო სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების შეფასება და ანალიზი, მათ გადასაჭრელად სხვადასხვა ტექნიკურ-მეთოდური საშუალებებით სარგებლობა; • პრობლემურ, ფორსმაჟორულ და განსხვავებულ სიტუაციაში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად შეუძლია მიზეზშედეგობრივი კატეგორიებით აზროვნება და ეფექტური გადაწყვეტილებების სწრაფად მიღება; • რთული და არასტანდარტული დავალებების შესასრულებლად შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება; • ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების შედეგად შეუძლია დავალების შესასრულებლად შესაფერისი მიდგომის შემუშავება; • ექსტრემალურ, კონფლიქტურ, სტრესულ და სახიფათო სიტუაციებში აქვს თავდაჭერისა და ადეკვატური ქმედების უნარი; • სამუშაოსათვის დამახასიათებელ ელემენტებსა და მომსახურების განსაზღვრულ ვალდებულებებს თანმიმდევრულად ასრულებს და ახერხებს სამუშაოთა კოორდინაციას. |
| კომუნიკაციის უნარი | <p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p> | <ul style="list-style-type: none"> • სამთო ტურისთვის ამზადებს სათანადო ტექსტს, ასევე ტურისტული ჯგუფისათვის მოიძიებს ძირითად ან დამატებით ინფორმაციას; • შეუძლია სტუმრის თხოვნის ყურადღებით მოსმენა, მოსმენილის გაგება, გააზრება და საჭიროებების დაზუსტება; • ამომწურავად და საინტერესოდ გადასცემს და შესაბამისად განმარტავს ინფორმაციას დაგეგმილი მარშრუტების შესახებ; • ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; • პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია კოლეგებთან, ხელმძღვანელებსა და ტუროპერატორებთან; • შეუძლია საკუთარ პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტებისათვის; • შეუძლია უცხო ენაზე სპეციალობასთან/სამუშაოსთან დაკავშირებული ვერბალური და წერილობითი კომუნიკაცია; • ფლობს თხრობის მეთოდურ ხერხებს; • სტუმრებთან არგუმენტირებულად ხსნის და განმარტავს წარმოქმნილი |

| | | |
|----------------------|---|--|
| | | <p>პრობლემის არსს;</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება. |
| სწავლის უნარი | <p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p> | <ul style="list-style-type: none"> • განსაზღვრავს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების საჭიროებასა და თანმიმდევრულ ეტაპებს; • შეუძლია წინსვლის მიზნით საკუთარი სწავლის დაგეგმვა, ინფორმაციის მუდმივი განახლება, თვითგანვითარება და ცოდნის გარმავევა. |
| ღირებულებები | <p>აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.</p> | <ul style="list-style-type: none"> • არის თავაზიანი და ყურადღებიანი; ახასიათებს ორგანიზებულობა, პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა, კონსტრუქციული თანამშრომლობა და კეთილგანწყობა კოლეგებთან, საქმისადმი პატიოსანი და ეთიკური მიდგომა; • შეუძლია დამოუკიდებლად მოქმედება, მუშაობის საკუთარი სტილის შემუშავება, საკუთარი ფუნქციების, მოვალეობებისა და ვალდებულებების გაცნობიერება; • გულისყურით ეკიდება სტუმრის თხოვნას; • არის ტოლერანტული, მომთმენი და ემოციურად სტაბილური. ახასიათებს შემოქმედებითობა; • აქვს საკუთარი ქვეყნის კანონებისა და ტრადიციების პატივისცემა; ეკოლოგიური ცნობიერება. • პასუხისმგებელია ტურისტის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, აცნობიერებს, რომ ჯგუფის მოქმედებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების უფლება აქვს მხოლოდ სამთო გამყოლს. |